სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-07/83

ქ. თბილისი 29 ივნისი 2026 წ.

სტუ-ის აგრარული მეცნიერებებისა და ქიმიური ტექნოლოგიების ფაკულტეტის თვითდაფინანსების პრინციპით მოქმედი „ელექტრომეტალურგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის“ სახელწოდების და დებულების ცვლილების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე'' საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის N 133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის შესაბამისად, სტუ-ის აგრარული მეცნიერებებისა და ქიმიური ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2026 წლის 29 ივნისის N 01-05-02/10 ოქმის საფუძველზე, **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. შეეცვალოს დასახელება სტუ-ის აგრარული მეცნიერებებისა და ქიმიური ტექნოლოგიების ფაკულტეტის თვითდაფინანსების პრინციპით მოქმედი „ელექტრომეტალურგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრს“ და ეწოდოს „ნავთობის გადამუშავების ტექნოლოგიური სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი“.

2. მოწონებული იქნეს „ნავთობის გადამუშავების ტექნოლოგიური სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის“.დებულება.

3. დადგენილებით გათვალისწინებული საკითხი დასამტკიცებლად გადაეცეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს (სენატს).

4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N 64).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**